

**სსბასს 14--ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები  
გამომცემლისაგან**

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს), ძირითადად, ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ 10-ს (ბასს 10) - *ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენები (2003 წლის განახლებული ვერსია)*. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების ფონდის (ფასსფ) ნებართვით, ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) წინამდებარე გამოცემაში გამოყენებულია ამონარიდები ბასს 10-დან.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში, შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ.ფოსტა: [publications@ifrs.org](mailto:publications@ifrs.org)

ვებ-გვერდი: [www.ifrs.org](http://www.ifrs.org)

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

## სსბასს 14--ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

### სსბასს-ის ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 14 - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები - გამოიცა 2001 წლის დეკემბერში.

2006 წლის დეკემბერში სსბასსს-მ გამოსცა სსბასს 14–ის განახლებული ვერსია.

მოგვიანებით სსბასს 14 –ში ცვლილებები შევიდა შემდეგი სსბასს-ების შესაბამისად:

- სსბასს 40, საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები (2017 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს-ების გამოყენება (2016 წლის აპრილის გამოცემა)
- სსბასს-ების გაუმჯობესება 2015 (2016 წლის აპრილის გამოცემა)
- სსბასს 33, დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება, (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს-ების გაუმჯობესება (2011 წლის ოქტომბრის გამოცემა)
- სსბასს-ების გაუმჯობესება (2010 წლის იანვრის გამოცემა)

## სსბასს 14-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
შესავალი ნაწილი	ამოღებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
3	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
4	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
15	შეცვლილია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
16	შეცვლილია	სსბასს–ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
21	შეცვლილია	სსბასს–ების გაუმჯობესება,

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
		2010 წლის იანვარი
31	შეცვლილია	სსბასს–ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
32ა	დამატებულია	სსბასს–ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
32ბ	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
32გ	დამატებულია	სსბასს–ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
32დ	დამატებულია	სსბასს–ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
32ე	დამატებულია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
33	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

სსბასს 14--ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი .....	1
მოქმედების სფერო .....	2–4
განმარტებები .....	5
ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვა .....	6–8
ალიარება და შეფასება .....	9–16
ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები .....	10–11
ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები... ..	12–13
ღვიძენდები ან მსგავსი განაწილებები .....	14–16
ფუნქციონირებადი ერთეული .....	17–25
რესტრუქტურიზაცია .....	25
განმარტებითი შენიშვნები .....	26–31
განმარტებები, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის გაცემის თარიღის შესახებ .....	26–27
განმარტებით შენიშვნებში ინფორმაციის განახლება, ანგარიშგების თარიღისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ .....	28–29
განმარტებები ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების შესახებ... ..	30–31
ძალაში შესვლის თარიღი .....	32–33
სსბასს 14-ის (2001) გაუქმება .....	34
დანართი: სხვა სსბასს-ებში შესწორებები	
დასკვნის საფუძველი	
ბასს 10-თან შედარება	

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 14 - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები - ჩამოყალიბებულია 1-34 პუნქტებში. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსზასს 14 აღქმულ უნდა იქნეს მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. სსზასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები - იძლევა სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და გამოყენების საფუძველს, დეტალური მითითებების არარსებობის შემთხვევაში.

## მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია, განსაზღვროს:
  - (ა) როდის უნდა მოახდინოს ერთეულმა თავისი ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების გამო; და
  - (ბ) განმარტებები, რომლებიც ერთეულმა უნდა გააკეთოს იმ თარიღის შესახებ, როდესაც მიღებულ იქნა ნებართვა, ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის და ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების შესახებ.

სტანდარტი ასევე მოითხოვს, რომ ერთეულმა არ მოამზადოს თავისი ფინანსური ანგარიშგება „ფუნქციონირებადი ერთეულის“ დაშვების საფუძველზე, თუ ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები მიუთითებს, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება არ არის შესაფერისი.

## მოქმედების სფერო

2. ერთეულმა, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს და წარადგენს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდის საფუძველზე, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების ბუღალტრულ აღრიცხვასა და განმარტებით შენიშვნებში უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი.
3. [ამოღებულია]
4. [ამოღებულია]

## განმარტებები

5. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც ხდება ანგარიშგების თარიღის შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ხდება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის მიღება. შეიძლება გამოიყოს ორი ტიპის მოვლენა:

- (ა) მოვლენები, რომლებიც იძლევა მტკიცებულებებს ანგარიშგების თარიღისათვის არსებულ პირობებზე (ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები); და
- (ბ) მოვლენები, რომლებიც მიგვანიშნებს იმ პირობებზე, რომლებიც წარმოიშვა ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში (ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები).

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

## ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვა

6. იმისათვის, რომ განისაზღვროს, რომელი მოვლენები აკმაყოფილებს ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების განმარტებას, აუცილებელია განვსაზღვროთ როგორც ანგარიშგების თარიღი, ასევე თარიღი, როდესაც გაიცა ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვა. ანგარიშგების თარიღი წარმოადგენს საანგარიშგებო პერიოდის ბოლო დღეს, რომელსაც უკავშირდება ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის გაცემის თარიღი ის თარიღია, როდესაც მოხდა ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება, ინდივიდუალური პირის ან ხელმძღვანელობასთან არსებული ორგანოს მიერ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად. აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე წარმოდგენილია აუდიტის მოსაზრება. ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები წარმოადგენს როგორც ხელსაყრელ, ასევე არახელსაყრელ მოვლენებს, რომლებიც ხდება ანგარიშგების თარიღსა და იმ თარიღს შორის, როდესაც ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვა გაიცა, მაშინაც კი, თუ ეს მოვლენები მოხდა: (ა) ნამეტის ან დეფიციტის შესახებ გამოცხადების გამოქვეყნების შემდეგ, (ბ) კონტროლირებადი ორგანოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის გაცემის შემდეგ, ან (გ) ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული სხვა რაიმე კონკრეტული ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ.
7. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და გამოცემისთვის ნებართვის გაცემის პროცესი, ერთი და იმავე ან სხვადასხვა იურისდიქციის ფარგლებში მყოფი სხვადასხვა ტიპის ერთეულების შემთხვევაში, შესაძლოა განსხვავდებოდეს და ეს შესაძლოა დამოკიდებული იყოს ერთეულის ხასიათზე, მმართველი ორგანოს სტრუქტურაზე, აღნიშნული ერთეულისადმი არსებულ კანონით დადგენილ მოთხოვნებზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და საბოლოო სახით ჩამოყალიბების შემდგომ პროცედურებზე. ცალკეული სამთავრობო დაწესებულებების ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებლობა შეიძლება ეკისრებოდეს ცენტრალური საფინანსო დაწესებულების ხელმძღვანელს (მთავარ ხელმძღვანელ პირს ფინანსურ საკითხებში/სახელმწიფო ორგანოს ბუღალტერს, როგორცაა, მაგალითად, კონტროლიორი ან მთავარი ბუღალტერი). მთავრობის ერთიანი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებლობა შეიძლება ეკისრებოდეს ერთდროულად ცენტრალური საფინანსო

დაწესებულების ხელმძღვანელს (ან მთავარ ხელმძღვანელ პირს ფინანსურ საკითხებში, როგორცაა, მაგალითად, კონტროლიორი ან მთავარი ბუღალტერი) და ფინანსთა მინისტრს (ან მასთან გათანაბრებულ პირს).

8. ზოგიერთ შემთხვევაში, გამოცემისთვის ნებართვის გაცემის პროცესში, ბოლო ეტაპზე, ერთეულს მოეთხოვება თავისი ფინანსური ანგარიშგება წარუდგინოს სხვა ორგანოს (მაგ., საკანონმდებლო ორგანოს, როგორცაა პარლამენტი ან ადგილობრივი საბჭო). აღნიშნული ორგანო შეიძლება უფლებამოსილი იყოს, მოითხოვოს მის მიერ შემოწმებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანა. სხვა შემთხვევებში, ფინანსური ანგარიშგების სხვა ორგანოსთვის წარდგენა შეიძლება უბრალოდ პროტოკოლით იყოს გათვალისწინებული ან შესაბამისი პროცესის რგოლს წარმოადგენდეს და აღნიშნული ორგანო არ იყოს უფლებამოსილი, მოითხოვოს რაიმე ცვლილების შეტანა მისთვის წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების გამოცემისთვის ნებართვის გაცემის თარიღი განისაზღვრება კონკრეტული იურისდიქციის კონტექსტში.

## **აღიარება და შეფასება**

9. ანგარიშგების თარიღსა და იმ თარიღს შორის მონაკვეთში, როცა გამოცემის ნებართვა გაიცა, არჩეულმა სახელისუფლებო წარმომადგენლებმა შესაძლოა განაცხადონ, მთავრობის განზრახვის შესახებ, ზოგიერთ საკითხთან დაკავშირებით. მოითხოვება თუ არა მთავრობის მიერ გამოცხადებული განზრახვის აღიარება მაკორექტირებელი მოვლენის სახით, დამოკიდებული იქნება შემდეგ ფაქტორებზე: (ა) იძლევა თუ არა ისინი უფრო მეტ ინფორმაციას, ანგარიშგების თარიღისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ და (ბ) არსებობს თუ არა საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ ისინი შესრულებადია და შესრულებული იქნება. უმეტეს შემთხვევაში, მთავრობის განზრახვების გამოცხადებას არ მოჰყვება მაკორექტირებელი მოვლენების აღიარება, არამედ, როგორც წესი, ეს მოვლენები ასახვას ჰპოვებს განმარტებებში, არამაკორექტირებელი მოვლენების სახით.

## **ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენები**

10. ერთეულმა უნდა მოახდინოს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირება, ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენების ასახვის მიზნით.
11. ქვემოთ მოყვანილია ანგარიშგების თარიღის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების მაგალითები, რომლებიც ერთეულისაგან საჭიროებს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული



თანხების კორექტირებას, ან ისეთი მუხლების აღიარებას, რომლებიც მანამდე არ იყო აღიარებული:

- (ა) ანგარიშგების თარიღის შემდეგ სასამართლო დავის გადაწყვეტა, რაც ადასტურებს, რომ ერთეულს ანგარიშგების თარიღისათვის უკვე ჰქონდა მიმდინარე ვალდებულება. ერთეული ასწორებს სასამართლო პროცესთან დაკავშირებულ უკვე აღიარებულ ანარიცხებს, სსბასს 19-ის - *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები* - შესაბამისად, ან აღიარებს ახალ ანარიცხებს. ერთეული პირობით ვალდებულებას განმარტებებში უბრალოდ არ ასახავს, რადგან სასამართლო დავის გადაწყვეტა ააშკარავებს დამატებით მტკიცებულებას, რომელიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს, სსბასს 19-ის 24-ე პუნქტის შესაბამისად.
- (ბ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ ისეთი ინფორმაციის მიღება, რომელიც მიუთითებს, რომ ანგარიშგების თარიღისათვის აქტივი გაუფასურებული იყო, ან მანამდე, ამ აქტივის გაუფასურების გამო, საჭიროებს აღიარებული ზარალის თანხის კორექტირებას, მაგალითად:
  - (i) კლიენტის გაკოტრება ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ჩვეულებრივ, ადასტურებს, რომ ანგარიშგების თარიღისათვის უკვე არსებობდა ზარალი მოთხოვნების ანგარიშზე და ერთეულს ესაჭიროება მოთხოვნების ანგარიშის საბალანსო ღირებულების კორექტირება;
  - (ii) ანგარიშგების თარიღის შემდეგ მატერიალური მარაგების გაყიდვამ შესაძლოა მოგვცეს მტკიცებულება მათ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებაზე, ანგარიშგების თარიღისათვის;
- (გ) ანგარიშგების თარიღამდე შეძენილი აქტივების თვითღირებულების ან გაყიდული აქტივებიდან მიღებული შემოსავლის ოდენობის დადგენა ანგარიშგების თარიღის შემდეგ;
- (დ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლის ოდენობის განსაზღვრა, რომელიც, შემოსავლის განაწილების შესახებ შეთანხმების თანახმად, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში სხვა ხელისუფლებას უნდა გაუნაწილდეს;
- (ე) პერსონალისთვის გადასახდელი საპრემიო გადახდების ოდენობის განსაზღვრა, ანგარიშგების თარიღის შემდეგ შესრულებული სამუშაოსათვის თუ ერთეულს ანგარიშგების თარიღისათვის გააჩნდა ასეთი გადახდების შესრულების აღებული და ამ თარიღამდე მოქმედი იურიდიული ან ირიბი

ვალდებულება, რომელიც გამომდინარეობს ანგარიშგების თარიღამდე მომხდარი მოვლენებიდან;

- (ვ) თაღლითობის ან შეცდომების აღმოჩენა, რომელიც ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგება არასწორი იყო.

### **ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები**

12. **ერთეულმა ფინანსურ ანგარიშგებაში არ უნდა მოახდინოს აღიარებული თანხების კორექტირება, ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების ასახვის მიზნით.**

13. ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითებია:

(ა) ქონების სამართლიანი ღირებულების დაცემა ანგარიშგების თარიღის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის გაცემის თარიღამდე, როდესაც ერთეულს მიღებული აქვს ქონების რეგულარული გადაფასების პოლიტიკა სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულების შემცირება, როგორც წესი, არ უკავშირდება ანგარიშგების თარიღისათვის არსებულ ქონების მდგომარეობას, არამედ ასახავს გარემოებებს, რომლებიც მომდევნო პერიოდში წარმოიშვა. აქედან გამომდინარე, მიუხედავად ერთეულში არსებული რეგულარული გადაფასების პოლიტიკისა, ერთეული არ ახდენს თავისი ქონების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აღიარებული თანხების კორექტირებას. ანალოგიურად, ერთეული არ განახლებს ანგარიშგების თარიღისათვის თავისი ქონების განმარტებებში მითითებულ თანხებს, თუმცა შესაძლოა დასჭირდეს დამატებითი განმარტებების გაკეთება, 29-ე პუნქტის შესაბამისად;

(ბ) როდესაც ერთეული ჩართულია საზოგადოებისათვის კონკრეტულ სასარგებლო მომსახურების პროგრამაში და ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის გაცემის თარიღამდე მიიღებს გადაწყვეტილებას, ამ პროგრამის მონაწილეებზე პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზებით გასცეს/გაავრცელოს დამატებითი სარგებელი. ასეთი ერთეული არ მოახდენს მის ფინანსურ ანგარიშგებაში მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული დანახარჯების კორექტირებას, თუმცა დამატებითი სარგებელი შეიძლება აკმაყოფილებდეს იმ პირობებს, რომელთა შემთხვევაშიც საჭიროა არამაკორექტირებელი მოვლენების შესახებ განმარტებების გაკეთება, 29-ე პუნქტის შესაბამისად.

### **დივიდენდები ან მსგავსი განაწილებები**

14. **თუ დივიდენდების გამოცხადება ერთეულის მიერ ხდება ანგარიშგების თარიღის შემდეგ, ერთეული ანგარიშგების თარიღისათვის ამ დივიდენდებს არ აღიარებს ვალდებულების სახით.**
15. საჯარო სექტორში დივიდენდები შესაძლოა წარმოიქმნას, როდესაც, მაგალითად, საჯარო სექტორის ერთეული ახდენს ისეთი სახელმწიფო კომერციული საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონტროლსა და კონსოლიდირებას, რომელსაც გააჩნია მფლობელობის ინტერესის სხვა წყარო, სადაც იგი იხდის დივიდენდებს. გარდა ამისა, საჯარო სექტორის ზოგიერთი ერთეული ახორციელებს ისეთ ფინანსურ მენეჯმენტს, როგორცაა, მაგალითად, მოდელეები „შემსყიდველი მომწოდებელი“, რომლებიც მოითხოვს, რომ შემოსავლის განაწილება მოხდეს მათი მაკონტროლებელი ერთეულისათვის, მაგალითად, ცენტრალური ხელისუფლებისათვის.
16. ~თუ დივიდენდების ან მესაკუთრეებისთვის მსგავსი განაწილებების გამოცხადება მოხდა ანგარიშგების თარიღის შემდეგ (ე.ი. მოხდა დივიდენდების და მსგავსი განაწილებების გაცემის სანქცირება სათანადოდ და ერთეულს აღარ შეუძლია ამ გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენა), მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის გაცემის თარიღამდე, ანგარიშგების თარიღისათვის მათი ვალდებულების სახით ასახვა არ ხდება, რადგან ამ დროისათვის არანაირი ვალდებულება არ არსებობს. ასეთი დივიდენდების ასახვა უნდა მოხდეს განმარტებით შენიშვნებში სსპასს 1-ის შესაბამისად. დივიდენდებში და მსგავს განაწილებებში არ შედის კაპიტალის დაბრუნება.

## **ფუნქციონირებადი ერთეული**

17. იმის განსაზღვრაში, მართებულია თუ არა ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება, საჭიროა თითოეული ერთეულის ჩართვა. თუმცა, ფუნქციონირებადობის შეფასებას, სავარაუდოდ, უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ცალკეული ერთეულებისათვის, ვიდრე მთლიანად მთავრობისათვის. მაგალითად, ცალკეული სამთავრობო უწყება შეიძლება არ იყოს ფუნქციონირებადი, რადგან მთავრობას, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს, განზრახული აქვს თავისი საქმიანობის მეორე სამთავრობო უწყებისათვის გადაცემა. ამასთან, ასეთი რესტრუქტურისაცა თვით მთავრობისათვის ფუნქციონირებადობის შეფასებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს.
18. **ერთეულმა ფინანსური ანგარიშგება არ უნდა მოამზადოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე, თუ ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირები ან მმართველი ორგანო განსაზღვრავენ, რომ ანგარიშგების თარიღის შემდეგ: (ა) განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან მისი საქმიანობის შეწყვეტა, ან (ბ) ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.**

19. იმის შეფასებისას, თუ რამდენად მართებულია ფუნქციონირებადობის დაშვება ამა თუ იმ ცალკეული ერთეულის მიმართ, ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელმა პირებმა და/ან მმართველმა ორგანომ უნდა განიხილოს სხვადასხვა ფაქტორები. ასეთ ფაქტორთა ფართო სპექტრი მოიცავს ერთეულის მიმდინარე და მოსალოდნელ შედეგებს, ორგანიზაციული ერთეულების ნებისმიერ გამოცხადებულ თუ პოტენციურად შესაძლებელ რესტრუქტურისა, მთავრობის მხრიდან დაფინანსების გაგრძელების ალბათობას და, საჭიროების შემთხვევაში, დაფინანსების პოტენციურ წყაროებს არსებულის ჩასანაცვლებლად.
20. იმ ერთეულების შემთხვევაში, რომელთა საქმიანობა, ძირითადად, ბიუჯეტიდან ფინანსდება, ფუნქციონირებადობის საკითხები, როგორც წესი, წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა გამოაცხადებს, ამ ერთეულის დაფინანსების შეწყვეტის განზრახვის შესახებ.
21. საჯარო სექტორის ზოგიერთ ერთეულს შეიძლება მოეთხოვოს სრულად ან არსებითად თვითდაფინანსება და საქონლისა და მომსახურების ხარჯების მომხმარებლებისგან მიღებული თანხებით დაფარვა. ნებისმიერი ასეთი ერთეულისთვის, ანგარიშგების თარიღის შემდეგ საოპერაციო შედეგების და ფინანსური მდგომარეობის გაუარესება შეიძლება მიუთითებდეს იმის განხილვის საჭიროებას, მართებულია თუ არა ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება კვლავ.
22. იმ შემთხვევაში, თუ ფუნქციონირებადობის დაშვება აღარ არის მართებული წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნებით, ერთეულმა ეს მდგომარეობა უნდა ასახოს თავის ფინანსურ ანგარიშგებაში. ასეთი ცვლილების შედეგები დამოკიდებული იქნება ერთეულის კონკრეტულ გარემოებებზე, მაგალითად, იმაზე, მისი საქმიანობა სხვა სამთავრობო უწყებას გადაეცემა, იგი გაიყიდება თუ მისი ლიკვიდაცია მოხდება. საჭირო იქნება იმაზე მსჯელობა, დადგება თუ არა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში ცვლილების შეტანის საჭიროება.
23. იმ შემთხვევაში, თუ ფუნქციონირებადობის დაშვება აღარ არის მართებული, ასევე საჭიროა იმის გათვალისწინება, არსებულ გარემოებებში შესული ცვლილებები ხომ არ გამოიწვევს დამატებითი ვალდებულებების წარმოქმნას ან სასესხო ხელშეკრულებებში ისეთი პუნქტების შეტანას, რომლებიც გამოიწვევს ზოგიერთი სესხის რეკლასიფიცირებას მიმდინარე ვალდებულებებად.
24. სსბასს 1 მოითხოვს გარკვეულ განმარტებებს, თუ:
  - (ა) ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვების საფუძველზე, სსბასს

1 მოითხოვს, როდესაც ფინანსური ანგარიშგების მომზადება არ ხდება ფუნქციონირებადობის საფუძველზე, ამ გარემოების შესახებ აუცილებლად უნდა გაკეთდეს განმარტებები იმ საფუძველთან ერთად, რომელზე დაყრდნობითაც ხდება ფინანსური ანგარიშგების მომზადება და იმ მიზეზის მითითებით, თუ რატომ არ არის მიჩნეული ერთეული ფუნქციონირებად ერთეულად;

- (ბ) ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ცნობილია ის არსებითი განუსაზღვრელობები, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს ერთეულის უნარზე, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა. ანგარიშგების თარიღის შემდეგ შესაძლოა თავი იჩინოს ისეთმა მოვლენებმა ან პირობებმა, რომლებიც საჭიროებს განმარტებას. სსბასს 1-ის მოთხოვნებით, საჭიროა ასეთი განუსაზღვრელობების განმარტება.

### **რესტრუქტურიზაცია**

- 25. როდესაც ანგარიშგების თარიღის შემდეგ გამოცხადებული რესტრუქტურიზაცია შეესაბამება არამაკორექტირებელი მოვლენის განმარტებას, შესაბამისი განმარტებები კეთდება წინამდებარე სტანდარტის მიხედვით. რესტრუქტურიზაციასთან დაკავშირებული ანარიცხების აღიარებისთვის მითითებები მოცემულია სსბასს 19-ში. ის გარემოება, რომ რესტრუქტურიზაცია ერთეულის რომელიმე შემადგენელი ნაწილის გაყიდვას გულისხმობს, კითხვის ნიშნის ქვეშ არ აყენებს ერთეულის უნარს, გააგრძელოს მოქმედება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა. მეორეს მხრივ, როდესაც ანგარიშგების თარიღის შემდეგ გამოცხადებული რესტრუქტურიზაცია გულისხმობს, რომ ერთეული აღარ არის ფუნქციონირებადი, აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ხასიათი და ოდენობა შეიძლება შეიცვალოს.

### **განმარტებითი შენიშვნები**

#### **გამოცემის ნებართვის გაცემის თარიღი**

- 26. ერთეულმა განმარტებებში უნდა მიუთითოს თარიღი, როდესაც მიღებულ იქნა ნებართვა ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად და ნებართვის გამცემის ვინაობა. თუ სხვა რომელიმე ორგანო უფლებამოსილია, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანოს შესწორებები მისი გამოცემის შემდეგ, ერთეული ვალდებულია, ამ გარემოების შესახებ გააკეთოს განმარტება.
- 27. მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როდის მოხდა ნებართვის მიღება ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად, რადგან ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აღნიშნული თარიღის შემდგომ

მოვლენებს. მომხმარებლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია, იცოდნენ იმ ძალზე იშვიათი გარემოებების შესახებ, რომელთა დადგომის დროსაც ნებისმიერი პირი თუ ორგანო უფლებამოსილია, ცვლილება ან შესწორება შეიტანოს ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ შესწორებებისა თუ ცვლილებების შეტანა შეუძლია, მაგალითად, მინისტრებს, იმ ხელისუფლებას, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს მოცემული ერთეული, პარლამენტს ან წარმომადგენელთა არჩეულ ორგანოს. ფინანსურ ანგარიშგებაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, შესწორებული ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების ახალ კომპლექტს წარმოადგენს.

### **განმარტებების განახლება, ანგარიშგების თარიღისათვის არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით**

28. თუ ერთეული ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვის თარიღამდე, იღებს ინფორმაციას ანგარიშგების თარიღისათვის არსებული მდგომარეობის შესახებ, მან ახალი ინფორმაციის საფუძველზე უნდა განაახლოს განმარტებები, რომლებიც ამ პირობებს ეხება.
29. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთეულს ესაჭიროება ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტების განახლება ანგარიშგების თარიღის შემდეგ, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის თარიღამდე მიღებული ინფორმაციის ასასახად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ინფორმაცია არ მოქმედებს თანხებზე, რომლებსაც ერთეული აღიარებს ფინანსურ ანგარიშგებაში. განმარტებების განახლების ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც ანგარიშგების თარიღის შემდეგ ხელმისაწვდომი ხდება მტკიცებულება, პირობითი ვალდებულების შესახებ, რომელიც არსებობდა ანგარიშგების თარიღისათვის. ამასთან, ანარიცხის დაუყოვნებლივ აღიარების საკითხის განხილვისას, ერთეული განაახლებს განმარტებებს პირობითი ვალდებულების შესახებ, ამ მტკიცებულების გათვალისწინებით.

### **ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები**

30. თუ ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენები იმდენად არსებითია, რომ განმარტებების არქონამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ სათანადო შეფასებების გაკეთებისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობაზე, ერთეულმა ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების თითოეული მნიშვნელოვანი კატეგორიისათვის აუცილებლად უნდა განმარტოს შემდეგი:
  - (ა) მოვლენის ხასიათი; და
  - (ბ) მისი ფინანსური შედეგის წინასწარი შეფასება ან განცხადება, რომ ასეთი წინასწარი შეფასების გაკეთება შეუძლებელია.

31. ქვემოთ მოყვანილია ანგარიშგების თარიღის შემდგომი არამაკორექტირებელი მოვლენების მაგალითები, რომლებიც, როგორც წესი, განმარტებებში აისახება:

- (ა) ქონების ღირებულების უჩვეულოდ მკვეთრი შემცირება, რომელიც მის სამართლიან ღირებულებას შეეხო, როდესაც ეს შემცირება არ არის დაკავშირებული ქონების მდგომარეობასთან ანგარიშგების თარიღისათვის, მაგრამ გამოწვეულია იმ გარემოებებით, რომლებიც ამ თარიღის შემდეგ წარმოიქმნა;
- (ბ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ ერთეული იღებს გადაწყვეტილებას, მომავალში, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით, საზოგადოების მომსახურების პროგრამის მონაწილეებზე (რომელსაც იგი მართავს), გასცეს/გაავრცელოს მნიშვნელოვანი დამატებითი სარგებელი და ეს დამატებითი სარგებელი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ერთეულზე;
- (გ) საჯარო სექტორის ერთეულთა მნიშვნელოვანი გაერთიანებები (სსბასს 40, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*, ასეთ შემთხვევებში მოითხოვს სპეციფიკურ გამჟღავნებას), ძირითადი კონტროლირებული ერთეულის გასვლაზე ან ყველა ან არსებითად ყველა იმ საქმიანობის აუთსორსინგზე რომელიც ამჟამად ხორციელდება ამა თუ იმ ერთეულის მიერ, ანგარიშგების თარიღის შემდეგ;
- (დ) ოპერაციის ან ძირითადი პროგრამის შეწყვეტის გამოცხადების, აქტივების გასვლის ან შეწყვეტილი ოპერაციის ან ძირითადი პროგრამის გამო გადასახდელი ვალდებულებების დაფარვის ან ამგვარი აქტივების გაყიდვის ან ამგვარი ვალდებულებების შესასრულებლად სავალდებულო ხელშეკრულებების გაფორმების შესახებ;
- (ე) აქტივების მნიშვნელოვანი შესყიდვის ან გაყიდვის ფაქტები;
- (ვ) ანგარიშგების თარიღის შემდეგ ძირითადი საწარმოო მოწყობილობების ხანძრის მიერ განადგურება;
- (ზ) უმთავრესი რესტრუქტურის გამოცხადება ან დაწყება (იხ. სსბასს 19);
- (თ) ისეთი კანონმდებლობის შემოღება, რომელიც ერთეულებისა თუ ინდივიდუალური პირებისათვის, პროგრამის ნაწილის სახით, მოახდენს გაცემული სესხებისაგან მათ განთავისუფლებას;
- (ი) უჩვეულოდ დიდი ცვლილებები აქტივის ფასებში ან ვალუტის გაცვლის კურსებში ანგარიშგების თარიღის შემდეგ;

- (კ) ისეთი ერთეულების შემთხვევაში, რომლებიც ექვემდებარება საშემოსავლო გადასახადის ან მისი ეკვივალენტის გადახდას, საგადასახადო განაკვეთებში ან საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ანგარიშგების თარიღის შემდეგ ძალაში შესული ან გამოცხადებული ცვლილებები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მიმდინარე და გადავადებულ საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებზე (მითითებები საშემოსავლო გადასახადების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შესაბამის საერთაშორისო თუ ეროვნულ საბუღალტრო სტანდარტებში, რომლებიც საშემოსავლო გადასახადს ეხება);
- (ლ) მნიშვნელოვანი ვალდებულებების ან პირობითი ვალდებულებების აღება, მაგალითად, მნიშვნელოვანი გარანტიების შექმნის გზით ანგარიშგების თარიღის შემდეგ;
- (მ) მნიშვნელოვანი სასამართლო დავის დაწყება, რომელიც მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენებიდან წარმოიშვა.

## ძალაში შესვლის თარიღი

- 32. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება იმ პერიოდებისთვის მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომლებიც იწყება 2008 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. რეკომენდებულია სტანდარტების ვადაზე ადრე გამოყენებაც. თუ ერთეული წინამდებარე სტანდარტს გამოიყენებს 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის, მან ამის შესახებ განმარტება უნდა გააკეთოს.
- 32ა. მე-16 პუნქტი შესწორდა 2010 წლის იანვარში გამოცემული დოკუმენტის - *სსბასს-ების გაუმჯობესება* - შესაბამისად. ერთეულმა აღნიშნული შესწორება უნდა გამოიყენოს იმ პერიოდებისთვის მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომლებიც იწყება 2011 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ. რეკომენდირებულია სტანდარტების ვადაზე ადრე გამოყენებაც.
- 32ბ. 33-ე პუნქტი შეიცვალა სსბასს 33-ის, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული იყენებს სსბასს 33-ს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, ამ ადრინდელი პერიოდისთვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ცვლილება.
- 32გ. 31-ე პუნქტი შეიცვალა, *2015 წლის სსბასს-ების გაუმჯობესების 2016 წლის აპრილში გამოცემის შედეგად*. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს



ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული იყენებს ცვლილებებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.

- 32დ. მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულია, ხოლო მე-15 და 21-ე პუნქტები შეიცვალა 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 32ე. 31-ე პუნქტი შეიცვალა 2017 წლის იანვარში სსბასს 40-ის, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*, გამოცემის შედეგად. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის 2019 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული იყენებს ცვლილებებს 2019 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი და ამავედროულად გამოიყენოს სსბასს 40.
33. როდესაც ერთეული დანერგავს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე სსბასსს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასსს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასსს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

### **სსბასს 14-ის (2001) გაუქმება**

34. წინამდებარე სტანდარტი ცვლის 2001 წელს გამოქვეყნებულ სსბასს 14-ს - *ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები*.

სხვა სსბასს-ებში შესწორებები

[ამოღებულია]

## დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 14-ის შემადგენელი ნაწილი.

### სსბასს 14-ის გადახედვა ბასსს-ს 2003 წლის „ზოგადი გაუმჯობესების პროექტის“ შედეგად

#### შესავალი

- დს1. სსბასსს-ს ფასს-ების კონვერგენციის პროგრამა სსბასსს-ს სამუშაო პროგრამის მნიშვნელოვანი ელემენტია. სსბასსს-ს პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს სსბასსს-ებში გამოყენებული დარიცხვის მეთოდის თანხვედრა ბასსსს-ს მიერ გამოცემულ ფასსს-თან, სადაც ეს საჯარო სექტორის ერთეულებისათვის მართებული იქნება.
- დს2. დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებულ სსბასსს-ებს, რომლებიც თანხვედრაშია ფასსს-ებთან, უნარჩუნდება ფასსს-ში მოცემული მოთხოვნები, სტრუქტურა და ტექსტი, თუ არ არსებობს საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი რაიმე სპეციფიკური მიზეზი, რომელიც ამის საშუალებას არ იძლევა. გადახვევა შესატყვისი ფასსს-დან ხდება ისეთ შემთხვევაში, როცა ფასსს-ის მოთხოვნები ან ტერმინოლოგია არ გამოდგება საჯარო სექტორისათვის ან, როდესაც საჯარო სექტორის კონტექსტში გარკვეული მოთხოვნების საილუსტრაციოდ აუცილებელია დამატებითი კომენტარის ან მაგალითის დართვა. განსხვავება სსბასსს-სა და მათ შესატყვისი ფასსსს შორის განსაზღვრულია *ფასსს-თან შედარებაში*, რომელიც ყოველ სსბასსს-ს დაერთვის.
- დს3. 2002 წლის მაისში ბასსსს-მა თავისი „ზოგადი გაუმჯობესების პროექტის“ ფარგლებში გამოსცა ბასსს 13-ის <sup>1</sup> შესწორებათა შეთავაზებული განსახილველი პროექტი. ბასსსს-ის „ზოგადი გაუმჯობესების პროექტი“ მიზნად ისახავდა „ალტერნატიული ფორმების, ზედმეტობებისა და სტანდარტების ერთმანეთთან კონფლიქტში მოსვლის შემცირებას ან აღმოფხვრას, კონვერგენციის ზოგიერთი საკითხის განხილვას და სხვა სახის დახვეწა-

---

<sup>1</sup> ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასსს-ები) გამოცემულ იქნა ბასსსს-ს წინამორბედის - ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსს) მიერ. ბასსსს-ს მიერ გამოცემულ სტანდარტებს ეწოდებათ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები. ბასსსს-მ განსაზღვრა, რომ ფასსსს-ები მოიცავს ფასსსს-ებს, ბასსსს-ებს და სტანდარტების ინტერპრეტაციებს. ზოგიერთ შემთხვევაში, ბასსსსს-მ შეასწორა და არ ჩაანაცვლა ბასსსს-ები. ამ შემთხვევებში ძველი ბასსსს-ები გამოიყენება

გაუმჯობესებას“. ბასს-ის საბოლოო ვერსია 2003 წლის დეკემბერში გამოიცა.

- დს4. 2001 წელს გამოცემული სსბასს 14, ბასს 10-ს - *ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები* - ეფუძნებოდა (განახლებული 1999 წ.), რომელიც ხელმოწერა გამოიცა 2003 წლის დეკემბერში. 2003 წლის მეორე ნახევარში, სსბასსს-ის წინამორბედმა, საჯარო სექტორის კომიტეტმა (სსკ),<sup>2</sup> მოახდინა სსბასს გაუმჯობესების პროექტის კონვერგენცია, სადაც ეს შესაძლებელი თუ საჭირო იყო, სსბასს 2003 წლის დეკემბერში გამოცემული გაუმჯობესებული და დახვეწილი ბასსს-ით.
- დს5. სსბასსს-მ გადახედა გაუმჯობესებულ ბასს 10-ს და, ძირითადად, დაეთანხმა ბასსს-ის მიზნებს ბასს-ის გადასასინჯად, ისევე როგორც შეტანილ შესწორებებს (ბასსს-ის „დასკვნის საფუძველი“ აქ არ არის მოყვანილი. ბასსს-ის *სრული სააბონენტო მომსახურების ხელმძღვრებს დასკვნის საფუძველი* შეუძლიათ იხილონ ბასსს-ს ვებ-გვერდზე: <http://www.iasb.org>). იმ შემთხვევებში, როცა სსბასს არ ემთხვევა შესაბამის ბასს-ს, „დასკვნის საფუძველი“ იძლევა ამის განმარტობის საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზნების განმარტებას.
- დს6. 2003 წლის დეკემბრის შემდეგ გამოცემული ფასს-ის გამო, ბასს 10-მა კიდევ განიცადა შემდგომი ცვლილებები. სსბასს 14 არ მოიცავს აღნიშნულ შემდგომ შესწორებებს, რომლებიც ფასს-ში 2003 წლის დეკემბრის შემდგომ პერიოდში შევიდა, რადგან სსბასსს-ს ჯერ არ განუხილავს და ჩამოუყალიბებია შეხედულება, აღნიშნული ფასს-ის მოთხოვნათა გამოყენებადობაზე საჯარო სექტორის ერთეულთა მიერ.

#### **სსბასს 14-ის გადახედვა ბასსს-ის 2008 წლის გამოცემული დოკუმენტის - ფასს-ების გაუმჯობესება - შესაბამისად**

- დს7. სსბასსს-მ გადახედა ბასს 10-ის გადასინჯულ რედაქციებს, რომლებიც 2008 წლის მაისში ფასს-ის მიერ გამოცემულ დოკუმენტში - „*ფასს-ების გაუმჯობესება*“ - შესულია და, უმთავრესად, დაემთხვა ბასსს-ის მიზნებს, რომლებიც მათ ამომრავებდათ სტანდარტის გადახედვისას. სსბასსს-ს გადაწყვეტილებით, საჯარო სექტორში არ არსებობდა კონკრეტული მიზეზი, რომ ეს ცვლილება არ მიეღო.

<sup>2</sup> სსკ გახდა სსბასსს მ.აშინ, როდესაც 2004 წლის ნოემბერში ბსფ-ის საბჭომ შეიცვალა მანდატი და გახდა სტანდარტების შემმუშავებელი დამოუკიდებელი ორგანო.

**სსბასს 14-ის გადახედვა 2015 წლის სსბასს-ების გაუმჯობესების II ნაწილის შედეგად: დაინტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები**

დს8. დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ სსბასს-ები, რომლებიც ეხებოდა გასაყიდად ფლობილ გრძელვადიან აქტივებს და გამსვლელ ჯგუფებს, არათანმიმდევრულია. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ფასს 5, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, შეიძლება შესაბამისი იყოს საჯარო სექტორისთვის კონკრეტულ გარემოებებში, შემდეგი მიზეზების გამო:

- ა) საჯარო სექტორში აქტივების გაყიდვა არ შეიძლება დასრულდეს ერთი წლის განმავლობაში, საჭირო დამტკიცების საფეხურების გამო. ეს ბაღებს კითხვებს ფასს 5-ის შესაბამისად მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისობისა და თანმიმდევრულობის შესახებ. კერძოდ, სსბასსს აღნიშნავს, რომ, ფასს 5-ის თანახმად, გასაყიდად ფლობილი აქტივები არ ამორტიზირდება. სსბასსს წუხს, რომ არაამორტიზირებადი აქტივები დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეიძლება იყოს შეუსაბამო.
- ბ) საჯარო სექტორში მრავალი აქტივი გაიცემა ტრანსფერის ან განაწილების გზით ან ნომინალური ანაზღაურების სანაცვლოდ. ვინაიდან, ფასს 5 ითვალისწინებს გაყიდვას სამართლიანი ღირებულებით, შეფასების და გამჟღავნების მოთხოვნებით შეიძლება არ იყოს მიწოდებული შესაბამისი ინფორმაცია ამ ტრანსფერებზე. ამასთან, სსბასსს აცნობიერებს, რომ ფასს 5-ში შეფასებისა და გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება მიზანშეწონილი იყოს მაშინ, როდესაც გაყიდვები გამიზნულია სამართლიანი ღირებულებით.
- გ) საჯარო სექტორში მრავალი შეწყვეტილი ოპერაცია წარმოადგენს ოპერაციებს, რომლებიც ადრე მომსახურებას ეწეოდა უფასოდ ან ნომინალური ღირებულებით. ვინაიდან, ფასს 5 ითვალისწინებს შეწყვეტილ ოპერაციებს, რომლებიც გასვლამდე ან გასაყიდად ფლობილად კლასიფიცირებამდე წარმოადგენდნენ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებს, ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფს, გამჟღავნების მოთხოვნებმა შეიძლება არ უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაცია საჯარო სექტორის შეწყვეტილი ოპერაციებისთვის. ამასთან, სსბასსს აცნობიერებს, რომ ფასს 5-ში გამჟღავნების მოთხოვნები შეიძლება იყოს მიზანშეწონილი, როდესაც შეწყვეტილი ოპერაციები ადრე იყო ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ერთი ან რამდენიმე ჯგუფი.

იმის გამო, რომ სსბასსს-მ დაასკვნა, რომ ფასს 5 შესაბამისი იქნებოდა საჯარო სექტორში მხოლოდ შეზღუდულ გარემოებებში, სსბასსს შეთანხმდა, რომ სსბასსს-ში მოხსენიებულ მითითებას გასაყიდად ფლობილ გრძელვადიან აქტივებზე ან შეწყვეტილ ოპერაციებთან დაკავშირებულ აღრიცხვის საერთაშორისო ან ეროვნულ სტანდარტებზე ამოიღებდა. სსბასსს წუხდა იმის გამო, რომ ამ მითითების შენარჩუნებას შეიძლება გამოეწვია ის, რომ ერთეულებს შეეძლოთ დაეცვათ ფასს 5-ის მოთხოვნები იმ გარემოებებში, როდესაც ეს შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ სსბასსს 3, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები*, იძლევა მითითებებს სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევის შესახებ იმ ოპერაციების შესახებ, რომლებიც არ არის კონკრეტულად მითითებული სსბასსს-ებში. ეს მითითებები ერთეულებს საშუალებას მისცემს მიიღონ სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც შეესაბამება ფასს 5-ს - სადაც ერთეული მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია.

#### **სსბასსს 14-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსსს-ს მიერ გამოცემული სსბასსს-ების გამოყენების შედეგად**

დს.9 **სსბასსსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასსს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასსს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:**

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;
- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასსსს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასსს 1-ის დასკვნის საფუძველში.

## ბასს 10-თან შედარება

სსბასს 14 - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები, ძირითადად, ბასს 10-ს - ანგარიშგების თარიღის შემდგომი მოვლენები (2003 წლის განახლებული რედაქცია) ეფუძნება და მოიცავს 2008 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – სსბასს-ების გაუმჯობესება - ფარგლებში ბასს 10-ში შეტანილ შესწორებას. ძირითადი განსხვავება სსბასს 14-სა და ბასს 10-ს შორის არის ის, რომ:

- სსბასს 14 მიუთითებს, როდესაც ფუნქციონირებადი ერთეულის დაშვება აღარ არის მართებული, საჭიროა მსჯელობა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ ვალდებულებებზე, ამ ცვლილების გამო მოხდენილი გავლენის განსასაზღვრად (22-ე პუნქტი);
- სსბასს 14 შეიცავს დამატებით კომენტარებს, ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად ნებართვის მიღების თარიღის განსაზღვრის თაობაზე (მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტები);
- სსბასს 14-ში, აღნიშნულის გარდა, შესულია კიდევ დამატებით შეტანილი კომენტარები, ბასს 10-ში საჯარო სექტორის ერთეულების მიერ წინამდებარე სტანდარტის გამოყენების განსამარტავად;
- სსბასს 14 არ იყენებს ტერმინს „შემოსავალი“, რომელსაც ბასს 10-ში უფრო ფართო გამოყენება აქვს, ვიდრე ტერმინს „ამონაგები“.
- სსბასს 14-ში მოცემულია „ანგარიშგების თარიღის“ განმარტება, რომელსაც ბასს 10 არ მოიცავს.